



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს სხდომის  
ოქმი N5**

**ქ.ლანჩხუთი**

**17. 05. 2016 წელი**

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე. საკრებულოს ფრაქციის, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქალები პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ** ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ დღის წესრიგის პროექტი შედგება გამგეობიდან და საკრებულოს კომისიებიდან შემოსული რამდენიმე ახალი პროექტისგან და იმ საკითხებიდან, რომელზეც წინა საკრებულოს სხდომაზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. გარდა ამისა, მისი თქმით დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა რამოდენიმე ახალი საკითხი, რომელიც დამატებული აქვს დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

9. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის N14 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში არსებული 54.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 34.2 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.03.44.309)) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

14. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული რუსლან წულაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ბიწამე/*

15. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ბიწამე/*

16. სხვადასხვა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელამემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.**

**მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის საკითხზე.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 25 მაისი, 10 საათი.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით დაადგინოს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებებით გადაცემასთან დაკავშირებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესის გარდა, დამატებითი წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება და გამომდინარეობს მათგან. ლანჩხუთის ქონების ელექტრონულ აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებებით გადაცემისას ვინაიდან ფორმდება გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომელიც არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება და რომელიც შეიცავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ , „მაჟორიტარები“ და „ქალები პოლიტიკაში“.

3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.  
მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე „** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი)ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის( პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა გახლავთ პეტიცია, რომლის წარდგენის დროსაც მნიშვნელოვანია გარკვეული პროცედურების დაცვა, ამიტომ საკრებულოს მიერ საჭიროა შემუშავდეს ერთიანი პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკი, პეტიციის წარდგენის თაობაზე წარსადგენი განცხადების ფორმა და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის ფორმა. აღნიშნულის დამტკიცება ხელს შეუწყობს როგორც საკრებულოს მუშაობას, ასევე პეტიციის სწორ წარდგენას.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.  
მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2015 წლიდან გადავიდა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაზე, სადაც ეტაპობრივად ხდებოდა გარკვეული დავალებების სისტემის მეშვეობით შესრულება, დღესდღეობით კი ძირითადი დოკუმენტების მომზადება და საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად, რამაც განაპირობა აუცილებლობა იმისა, რომ შევიმუშაოთ ერთიანი წესი, რის მიხედვითაც მოხდება საქმისწარმოების დარეგულირება.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.  
მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში ბიუროს წევრებს წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსხურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2016 წლის პირველ კვარტალში მობილიზებულია სულ შემოსავლები საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან 491.0 ათ. ლარი ანუ გეგმა შესრულებულია 13.7%-ით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 7,6%-ით, აქედან საშემოსავლო გადასახადის სახით შემოსავალმა 90,5 ათ. ლარი შეადგინა/12,4%/, საწარმოთა ქონების გადასახადს საკასო შესრულებამ შეადგინა 12.4 ათ. ლარი /5,0%/, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე



გადასახადის საკასო შესრულებამ 7,7 ათ. ლარი /12,9/, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 5,9 ათ. ლარი /1,2%/, არასაგადასახადო შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 187,5 ათ. ლარი და გეგმა 13,7%-ით არის შესრულებული, აქედან: ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მიღებულია 22.6 ათ. ლარი გეგმა შესრულებულია 4,1%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულია 1,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 15,4%, სანებართვო მოსაკრებლის შემოსავალი 2,1 ათ. ლარი /21,4%/.

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან მიღებულია 2,5 ათ. ლარი გეგმა შესრულებულია 18,7%-ით, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან 7,6 ათ. ლარს შეადგენს /38%/, შემოსავალი ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებულია 150,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 19,7%-ით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან შემოსულია 0,5 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 186,8 ათ. ლარი გეგმა შესრულებულია 26,7%-ით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ფინანსური დახმარების სახით მიღებული აქვს 2746,3 ათ. ლარი ანუ წლიური გეგმის 24,9%, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 1923,9 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 54,9 ათ. ლარი, ფონდებიდან გამოყოფილი თანხებიდან მიღებულია 767,6 ათ. ლარი.

ანუ სულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავლების სახით პირველი კვარტლის განმავლობაში მიღებულია 3237,5 ათ. ლარი, ანუ გეგმის 22,1%-ი.

საფინანსო წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთიდან პირველ კვარტალში 426,2 ათ. ლარი მიიმართა ვალდებულებების დასაფინანსებლად.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული იქნა 3137,4 ათ. ლარის ხარჯი: მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 542,0 ათ. ლარი, ბიუჯეტით გაწეული ხარჯების 17,3%-ი, შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 41,9 ათ. ლარი, გაწეული ხარჯის 1,3%-ი, მივლინების ხარჯების დაფინანსებაზე 0,6 ათ. ლარი, ოფისის ხარჯების დაფინანსებაზე 92,2 ათ. ლარი, /ხარჯის 2,9%-ის/, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებაზე 0,1 ათ. ლარი, გრანტის მუხლიდან მიმართულია 125,0 ათ. ლარი /ხარჯის 4,0%-ი/, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯებზე 24,6 ათ. ლარი /ხარჯის 0,8%-ი/, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე 69,7 ათ. ლარი /ხარჯის 2,2%-ი/, არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე მიიმართა 582,9 ათ. ლარი /ხარჯის 18,6%-ი/, სუფსიდირების წესით დაფინანსებაზე 1155,8 ათ. ლარი /ხარჯის 36,8%-ი/, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოციალური პროგრამის დაფინანსებაზე 76,5 ათ. ლარი /ხარჯების 2,4%-ი/, ვალდებულებების კლების მუხლიდან მიიმართა 425,4 ათ. ლარი /ხარჯების 13,6%-ი/.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 194,4 ათ. ლარის ხარჯი ანუ ბიუჯეტით გაწეული ხარჯის 6,2%-ი, მუნიციპალიტეტის გამგეობის ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 466,5 ათ. ლარი ბიუჯეტის ხარჯების 14,9%-ი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსხურის დაფინანსებაზე მიიმართა 31,7 ათ. ლარი ხარჯების 1,0%-ი, დასუფთავების და ნარჩენების გატანაზე მიიმართა 118,3 ათ. ლარი, ხარჯების 3,8%-ი, გარე განათების მოვლის ღონისძიებაზე 100,9 ათ. ლარი ხარჯების 3,2%-ი, გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯზე 47,9 ათ. ლარი ხარჯების 1,5%-ი, სოც. კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე 2,0 ათ. ლარი, რელიგიის მხარდაჭერის პროგრამაზე მიიმართა 20,0 ათ. ლარი, ხარჯების 0,6 %-ი, ა(ა)-იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა ურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის შენახვაზე გახარჯულია 33,9 ათ. ლარი /1,1%-ი/, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო

ცენტრი დაფინანსდა 407,9 ათ. ლარით ხარჯების 13,0%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის სპორტული ცენტრის დაფინანსებაზე 93,8 ათ. ლარი ხარჯების 3,0%-ი, ა(ა)იპ მუნიციპალური საფეხბურთო კლუბი გურიას დაფინანსება 514,8 ათ. ლარია ხარჯების 16,4%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის ბავშთა საფეხბურთო სკოლის დაფინანსებამ 30,6 ათ. ლარი შეადგინა ხარჯების 1,0%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის დაფინანსებამ 15,8 ათ. ლარი, ხარჯების 0,5%-ი, ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფინანსებამ 125,0 ათ. ლარი შეადგინა ხარჯების 4,0%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსებამ 231,2 ათ. ლარი ხარჯების 7,4%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებაზე გაიხარჯა 32,7 ათ. ლარი ხარჯების 1,0%-ი, ა(ა)იპ მზუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფისთვის პროგრამაზე გაიხარჯა 12,7 ათ. ლარი ხარჯების 0,4%-ი, სოციალურ პროგრამების დაფინანსებაზე გაიხარჯა 83,9 ათ. ლარი, ხარჯების /2,7%/, ინფრასტრუქტურის ობიექტების დაფინანსებაზე გაიხარჯა 572,3 ათ. ლარი, ხარჯების /18,2%-ი/.

**დეპუტატმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა**, რომ მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი პირველი კვარტლის მდგომარეობით შემოსავლების ნაწილში შესრულდა 13.7% -ით, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შემოსულობები ბიუჯეტში შედის წლის მეორე ნახევარში, რაც მისი თქმით დამაკმაყოფილებლად არ უნდა ჩაითვალოს. მან განმარტა, რომ ბიუჯეტიდან მიღებულ გათანაბრებითი ტრანსფერი მუნიციპალიტეტს 36.3 %-ი აქვს ათვისებული, როცა შეიძლებოდა ყოფილიყო ათვისებული 25%-ით. იგი დაინტერესდა, თუ რით იყო ეს ყოველივე გამოწვეული.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსხურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ განმარტება გააკეთა**, რომ მიმდინარე კვარტალში ცეტრალური ბიუჯეტიდან გათანაბრებითი ტრანსფერის ასათვისებელი ლიმიტი მუნიციპალიტეტს აქვს 441 000 ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ დამატებით ათვისებული იქნა 600 000 ლარი, რომელიც განპირობებული იყო ხარჯების გაწერის აუცილობლობით. მან მაგალითისთვის მოიყვანა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“. მისი თქმით, ვიანიდან იანვარში კლუბს აქვს გასავლელი შეკრება, გაწეულ იქნა ხარჯის დაფინანსება 62%-ით. აქდან გამომდინარე, ყველა ხარჯი ერთი წლის განმავლობაში თუ უნდა გაწერილიყო 1/12-ის პრინციპით, მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა ხარჯების გაწერა პირველ ხუთ თვეზე. მისი განმარტებით მოხდა მხოლოდ გარკვეული თანხების გადანაწილება.

**დეპუტატმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა**, რომ როგორც მისთვის ცნობილი გახდა კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინერტული მასალების მოპოვებას( სულ 17 ლიცენზია არის გაცემული) ვალდებულნი არიან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიტანონ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე , რაც მისი გათვლებით წლების განმავლობაში სოლიდურ თანხებს მოიცავს და მნიშვნელოვანი შემოსულობები იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსხურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ განმარტება გააკეთა**, რომ აღნიშნულ საკითხზე კომპეტენცია გააჩნია შესაბამის სამინისტროს, რომელიც უდგენს კომპანიებს, თუ რამდენ კუბურ მეტრ ინერტულ

მასალას მოიპოვებს ამა თუ იმ დროის ინტერვალში, რომლის შემდგომ განისაზღვრება მოსაკრებლის გადახდის ვადები და პირობები, რომელიც მისი თქმით ჯერჯერობით მუნიციპალიტეტისთვის არ არის მოწოდებული.

**დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა**, რომ მან მოიკვლია მასალები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მისი გათვლებით კომპანიებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აწარმოებენ ინერტული მასალების მოპოვებას, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსატანი აქვთ დაახლოებით 192 000 ათასი ლარი. იგი დაინტერესდა, რა საჯარიმო მექანიზმი ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ კომპანიების მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოსაკრებლის შემოტანა არ მოხდება.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსხურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ განმარტება გააკეთა**, რომ კომპანიების მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თუ არ მოხდება თანხის შემოტანა, მაშინ შესაბამისად ამოქმედდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა საჯარიმო სანქციები.

**დეპუტატი კახა ურუშაძე დაინტერესდა**, თუ როგორია მიმდინარე წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შეფარდება (შემოსულობების ნაწილში) გასული წლის ბიუჯეტის პირველ კვარტალთან.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსხურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ განმარტება გააკეთა**, რომ გასულ წლის ბიუჯეტის პირველ კვარტალთან შედარებით შემოსულობების ნაწილში არის მცირედი ზრდა.

**დეპუტატმა ნონა მურვანიძე დაინტერესდა**, თუ რით იყო განპირობებული მიმდინარე წლის ბიუჯეტში პირველ კვარტალში შემოსულობების გაზრდა წინა წელთან შედარებით.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსხურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ განმარტება გააკეთა**, ბიუჯეტის შემოსულობების კუთხით მუნიციპალიტი შემოსავალს იღებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივებისგან და მოსაკრებლებისგან. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსხურები მაქსიმალურად ცდილობენ შემოსავლების ნაწილი გაიზარდოს. მისი თქმით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეიცვალა მოსაკრებლის ამოღების წესი. გასულ წელს მუნიციპალიტეტი თავის ბაზებში უშუალოდ ხედავდა, თუ ვინ იყო გადასახადის შემომტანი, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წვდომა არ გააჩნია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს გადასახადების ამოღებას.

**დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა**, რომ მელიორაციას გასულ წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის ჰქონდა დავალიანებები, რომლის რესტრუქტურისაცია მოხდა. იგი დაინტერესდა, მიმდინარე წელს მელიორაცია დაუფარავდა თუ არა მუნიციპალიტეტს დავალიანებას.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ განმარტება გააკეთა, რომ ეს თემა არის ძალიან სპეციფიკური. მელიორაციას დავალიანებები ჯერ კიდევ მრავალი წელია რაც გადაუხდელი აქვს, რომლის დაფარვაც ამ დრომდე ვერ მოხერხდა. მისი თქმით, გასულ წელს მოხდა რესტრუქტურისაცია რამდენიმე წლით და შესაბამისად მიმდინარე წელს ბიუჯეტში აღნიშნული დავალიანების შემოტანა მოსალოდნელი არ არის.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, ასევე გამგეობის შესაბამის სამსახურებს მოუწოდა რომ ყველამ ერთად, კოორდინირებულად იმუშაონ რათა 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი მკვეთრად გაიზარდოს.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ქალაქ ლანჩხუთში წყლის გამრიცხველიანება არ არის დასრულებული და მან მოიყვანა საკუთარი ქუჩის მაგალითი, კერძოდ ის ნაწილი, რომელშიც თავად ცხოვრობს, გამრიცხველიანებულია, მოპირდაპირე ნაწილი კი არა. მან დასვა საკითხი დაევალოს შესაბამის სამსახურებს მოახდინოს ყველა ოჯახის გამრიცხველიანება.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ მადლობა გადაუხადა ბიუროს სხდომაზე დამსწრე ერთადერთ პრესის წარმომადგენელ სოფო წილოსანს მოზრმანებისთვის .

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის I კვარტლის მიმდინარეობის თაობაზე ანგარიში.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 საკითხები არის იდენტური, რომელიც საკრებულოში არსებულ წარმოდგენილ ოთხ მუდმივმომქმედ კომისიაში პერსონალურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული საკითხი გამოწვეულია იმ გარემოებებიდან, რომ საკრებულოში შეიქმნა ახალი ფრაქცია „ქალები პოლიტიკაში“. რომლის შექმნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფრაქციის სამივე წევრი გაწევრიანებული იყო მხოლოდ ერთ კომისიაში. ვინაიდან საკრებულოს ფრაქციის წევრთა მინიმალური რაოდენობა კანონით გასაზღვრულია 3 წევრი, ხოლო კომისიების რაოდენობა შეადგენს 5-ს, (დამატებითი ლეგალიზების კომისია ,ჯამში 6 კომისია) კანონი იძლევა იმის საშუალებას, რომ სურვილის შემთხვევაში 3 წევრიანმა ფრაქციამ მოიცვას საკრებულოს ექვსივე კომისია.( მინიმუმ ერთ კომისიაში კანონიდან გამომდინარე გაწევრიანება აუცილებელია). გამომდინარე იქედან, რომ ფრაქციის სამთავე წევრი არ აღმოჩნდნენ ერთ კომისიაში უნდა მოხდეს ფრაქციის წევრების სხვადასხვა კომისიებში გადანაწილება. საკრებულოს ოთხი დეპუტატების მიერ(დარეჯან

ბურჭულაძე, იოსებ სარჯველაძე, კახაბერ გუჯაბიძე, ჯუმბერ ბლაგიძე) თავიანთი სურვილის მიხედვით შემოსულია განცხადება გადანაწილდნენ სხვადასხვა კომისიებში.

**დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა**, რომ იგი არის საკრებულოში მოქმედი ყველაზე დიდი კომისიის თავმჯდომარე (სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია), რომელსაც კომისია საკურატორო სფეროებად აქვს დაყოფილი, (ჯანდაცვა, სპორტი, კულტურა), სადაც გაწევრიანებული არიან დეპუტატები, რომლებიც კომისიის საქმიანობის საკითხებში უფრო მეტად კომპეტენტურნი არიან. მისი თქმით, გამოდის რომ აღნიშნული კომისიის წევრების მიმართ ხდება შეკვეთა, თუ რომელ კომისიაში უნდა გაწევრიანდნენ ისინი.

**დეპუტატმა რომან ბიწაძემ უპასუხა**, რომ კომისიის წევრებს არავინ ზღუდავს, თუ რომელ კომისიაში იქნებიან გაწევრიანებულნი, კანონი მათ არ ავალდებულებს, რომ ფრაქციის წევრებმა საკრებულოში მოქმედი ექვსივე კომისია მოიცვას. მაგრამ მისი თქმით, ფრაქცია არ არის პროფესიული ნიშნით შექმნილი, იგი არის პოლიტიკური ნიშნით შექმნილი და აქედან გამომდინარე ეს ფაქტი ბადებს გარკვეულ უხერხულობას, ფრაქციის წევრებმა კეთილი უნდა ინებონ და გადანაწილდნენ სხვადასხვა კომისიებში, სხვა შემთხვევაში ეს იქნება არა მარტო თავიანთი ფრაქციის, არამედ სხვა ფრაქციების და ასავე მთლიანად საკრებულოს უპატივცემულობა.

**დეპუტატმა ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა**, რომ ფრაქცია არის მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით შექმნილი, როცა რომელიმე კომისიაში ფრაქციის 3 წევრი იქნება გაწევრიანებული, არის ალბათობა იმისა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი კომისიაში ჩაგდებულ იქნას.

**საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ აღნიშნა**, რომ მას კარგად ესმის დეპუტატ ია ჩხაიძის გულისტკივილი იმ საკითხთან მიმართებაში, რომ მას საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში კარგად აქვს აწყობილი სამუშაო სტილი კომისიის წევრებთან ერთად, მაგრამ ფრაქციის 3 წევრის ერთ კომისიაში ყოფნა გარკვეულ უხერხულობას ბადებს.

**დეპუტატმა ნონა მურვანიძემ აღნიშნა**, მის გარდა ფრაქციის „ქალები პლიტიკაში“ ორთავე წევრი (დარეჯან ბურჭულაძე, ელისო ჭიჭინაძე) გაწევრიანებულნი არიან საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში, სადაც ისინი გამოირჩევიან თავიანთი აქტიურობით სხვა დეპუტატებთან ერთად. მისი თქმით გულდასაწყვეტი იქნება აღნიშნული კომისიის დატოვება, მაგრამ ფრაქციის ორი წევრი დატოვებს კომისიას და გადანაწილდებიან საკრებულოს სხვადასხვა კომისიებში, რადგან ამ ფაქტმა გარკვეული უხერხულობა რომ არ შექმნას.

**დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა**, რომ ის ძალიან დიდ პატივს სცემს ფრაქციის „ქალები პოლიტიკაში“ წევრებს და ყველა დეპუტატს, რომლებიც საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში არიან გაწევრიანებულნი. ისინი გამოირჩევიან თავიანთი პროფესიონალიზმით, აქტიურობით. მისი თქმით, კომისიის მუშაობაში არის გარკვეული სპეციფიკური თემები, რომლის განხილვაში საჭიროა

საკითხისადმი კომპეტენტური ადამიანების აზრის მოსმენა. მან თხოვნით მიმართა უკვე ყოფილ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრებს, რომ სათათბირო ხმის უფლებით მობრძანდნენ და მონაწილეობა მიიღონ კომისიის საქმიანობაში.

